№ 50
შაბათი, 7 მარტი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 50
შაბათი, 7 მარტი, 1898 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დუსკა იოსების ასული, ვასილი ალექსის ძე, ნინა და აგრაფინა ალექსის ასულნი კიკნაძეები,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისას და მეორენი—ბიძისას,

**აზ. დასკალ გიორგის ძის კიკნაძისას,**

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ ს. ბელაგორში მისის გვამის დაკრძალვაზედ დას სწრებლად 10 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზედ, წმ. გიორგის ეკლესიაში.

(1—53—1)

ქ. გორი
კვირას, 8 მარტს,
ქ. გორში სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქნება საქველ-მოქმედო აზრით გორის ქსენონის სასარგებლოდ ქართული წარმოდგენა.
წარმოდგენილი იქნება

I

**ციმბირელი**

კომედ. 4 მოქმ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ს. ა. ლომაურისა, კნ. მ. კ. ხერხეულიძისა, ე. ა. ჯავახოვისა, ბ. გ. ლოლაძისა, ო. გ. თულაშვილისა, ლ. კარდანახელი, თავ. კ. ი. ხერხეულიძე, ს. რობაკიძე, კ. დ. დათაძე, ნ. თვალიაშვილი, ი. ივერიელი.

მოთავე წარმოდგენისა: კნ. მ. კ. ხერხეულიძისა.

II

**დივერტისმენტი**

დასაწყისი 8 საათზედ

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. პუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

# ახალი ამბავი

*** ტფილისის პოლიცმეისტერი სთხოვს ქალაქის მოურავს, რომ ლაბარატორიის განყოფილება იქმნას დაარსებული ქალაქში ღორის ხორცის გამოსაკვლევად მცხოვრებელთა ტრიხინით მოწამლვისაგან უზრუნველ-საყოფელადაო.

*** ქალაქის გამგეობის დარბაზში ქალაქის მოურავის ბ-ნის ევანგულოვის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ გამგეობის წევრებსა და 14 საგანგებოდ მოწვეულს კაცს ქალაქის გეგმის შემუშავების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ განიხილა და მოიწონა ტფილისის მიწის მზომელ სასწავლებლის უფროსის, ინჟენერის ი. კ. კაზაკევიჩის პროექტი. ამ გეგმის გადაღებას დასჭირდება 56,100 მან.

*** ქალაქის საბჭოს ხმოსნად ნამყოფის შახბუდაგოვის ქვრივმა ქალაქის გამგეობას 1000 მან. გაუგზავნა მუშათა საავადმყოფოს დასაარსებლად ქ. ტფილისში.

*** 10 მარტს სიღნაღში მიდის ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესია. სესიამ უნდა განიხილოს 13 საქმე.

*** კვირას, 8 მარტს, დღის 12½ საათზედ, კავკასიის სააბრეშუმო სადგურის დარბაზში გამართულ იქმნება მეოთხე საუბარი მეფუტკრეობაზედ, სახელდობრ „ფუტკრის ავადმყოფობათა“ შესახებ. საუბრის შემდეგ ლაპარაკი იქმნება აღძრული კავკასიაში განზრახულ მეფუტკრეთა კრების საქმის მომართვა-მოწყობის შესახებ.

*** კავკასიის ბაღ-ბოსტნეულობის საზოგადოების შუამდგომლობა „შრომის“ გამოსაცემად 300 მან. დახმარების აღმოჩენის შესახებ შეწყნარებულ იქმნა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის მიერ.

*** ტფილისის მეტეხის საპატიმროს პატიმრები, იმას გარდა, რომ სტამბაში ჰმუშაობენ, რომელიც 3—4 წლის წინად იქმნა დაარსებული, სწავლობენ აგრეთვე: დურგლობას, წიგნების კაზმვას, მეჩექმობასა და თერძობას. სამუშაოები კერძო კაცთაგანაც იქმნება მიღებული მეტად მცირე ფასად.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ მინისტრის კავკასიის რწმუნებულს გადასცა 1,800 მან. ორ-სართულიან შენობისა და ფარდულის ასაგებად ართვინის ოლქის სოფ. ლომაშენს, სადაც დაარსებულ იქმნება ზეთის ხილის სახელმწიფო სანერგე.

*** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის ბ-ნის მედვედიევის მიერ შემუშავებული პროექტი დუშეთის მაზრის სოფ. ოძისს საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ მოწონებულ იქმნა სამინისტროსაგანაო. როგორც ვიცით, კავკასიაში არც ერთი ამგვარი სასწავლებელი არ არის დაარსებული და ეს პირველი საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი იქმნება.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ამიერ-კავკასიის ავადმყოფ ვენახების საწამლებლად გადასდო 15,000 მან. ამ თანხიდგან კახეთის ვენახების საწამლებლად საფილოქსერო კომიტეტს 3650 მან. მიეცემა.

*** კავკასიის ბაღ-ბოსტნეულობის საზოგადოებამ დაადგინა, რომ ბაღ-ბოსტნეულობის საგნების მეორე გამოფენის გამართვის დროს, რომელიც ამ წლის ოქტომბერში იქმნება, განსაკუთრებული განყოფილება იქმნეს დაარსებული, სადაც მცოდნეებმა უნდა უჩვენონ და შეასწავლონ მსურველებს მყნობაო.

*** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კანცელარიის სადგომში სხვათა შორის ზაქათალის ოლქის სოფ. ბელაქანის მემამულის ჰაჯი-იზმაილის მიერ გამოგზავნილი მსხლები და ვაშლებია გამოფენილი. მსხალთა შორის სიდიდითა და ღირსებით განირჩევა სხვებისაგან ზამთრის დიუშესი და გულაბი, ვაშლებში-კი—რანეთისა, ანტონოვისა და კალვილის თეთრი და წითელი. ჰაჯი-იზმაილის სიტყვით, ზამთრის გულაბმა იცის დიდი მოსავალი და ერთს ხეს 32 მანეთის ხილი ჩამოსდისო. ეს მსხალი ფუთი 3 მანეთად იყიდებაო.

*** სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რომ კავკასიაში შავის ქვის წარმოების ხელის შესაწყობად, გზათა, ფინანსთა, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტ-

# ფელეტონი

## ჯონსტონის თავგადასავალი.

(დასასრული *)

დედაკაცები ისევ ლაპარაკს მოჰყვნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, სრულიად დაავიწყდათ არსებობა ბედკრულის ჯონსტონისა. ამ ლაპარაკის დროს ქალბატონ სკობლისას უნდა ეჩვენებინა ძმისწულისათვის რაღაც შენობა; მივიდა იმ ფანჯარასთან, რომელთანაც მე ვიჯექი, ვაგონი შეინძრა და ქალბატონი სკობლისა კინაღამ მუხლებზედ დამეცა.

— ნეტავი გენახათ, როგორ შეეშინდა მაგ საბრალოს,—სთქვა ხმამაღლა ახალგაზდა ქალმა, როდესაც მამიდა თავისს ალაგას დაბრძანდა. იქმნება ეგონა, რომ კალთაში ჩაუჯდებოდით!

— რა მორცხვი რამ ბრძანებულა!—სთქვა მამიდამ.—სწორედ გითხრა, მე მაგის სახე ძლიერ არ მომწონს. საზოგადოდ მახინჯ ადამიანებს ძლიერ ცუდი ხასიათი აქვთ.

მერე რა გონჯი რამ არის. არა?

ვერ გავიგონე, რა უპასუხა ძმისწულმა. ქ-ნმა სკობლისამ ერთხელ კიდევ გადმომხედა და სთქვა:

— ერთი შეხედე, სწორედ რომ ქურდსა და გაიძვერას არა ჰგავს? მე სრულიად არ მეშინიან მაგისი, მაგრამ არ გამიკვირდება კია, რომ სხვისი ქოლგა ან სხვა რამ ხელთ იგდოს და მერე სთქვას—უკაცრავად, ჩემი მეგონაო.

როგორცა ჰხედავთ, საქმე უფრო გამწვავდა. მე უკვე ვიცოდი, რომ ქალბატონს სკობლისას ჯონსტონი, რომელიც ჯერ თვალით არ ენახა, სულელ კაცად მიაჩნდა, ხოლო ეხლა-კი ღირსი შევიქმნენ ჩემის ყურით გამეგონა, რომ ჯონსტონი, რომელიც ეხლა მის თვალ-წინ იდგა, ქურდად მიაჩნდა. მადლობა ღმერთს, რომ ეხლა რეგბის სადგური ახლო იყო და ჩემს ჯალათებს მალე გავშორდებოდი.

სწორედ ამ დროს ქალბატონმა სკობლისამ დიდის აღელვებითა და მოუთმენლობით დაიწყო ფულის ქისის ძებნა.

მე სულაც არა მსურს დედაკაცების დაცინვა. მეც რომ არ ვიცოდე, რა ალაგას მაქვს ჯიბე, ან ჯიბისაკენ მაინც გზა მეპოვნოს და ვერ გავიგო, არის რამ ჯიბეში, თუ არა, უეჭველია, ნახევარ საათს მოვუნდებოდი ფულის ქისის პოვნას და ამასთანავე ავღელდებოდი-კი არა, მეტიც მომივიდოდა.

დიდის ხნის ძებნის შემდეგ ქალბატონმა სკობლისამ ძლივს იპოვნა პირი თავისის ჯიბისა და მეტად აღელვებულმა განაცხადა, რომ ჯიბეში ფულის ქისა აღარა მაქვსო.

— ჯიბეში სამას მანათამდე ფული მქონდა და ბილეთი. კარგად მახსოვს, რომ ქისა ჯიბეში მქონდა, ვაგონში რომ შემოვედი.

— საკვოიაჟში ხომ არ შეინახეთ? ან იქნება კარსაჟში გქონდეთ?—იკითხა ძმისწულმა.

ქალბატონმა სკობლისამ გადაჭრით უპასუხა—არაო, მაგრამ მაინც შეუდგა ფულის ქისის ძებნას ყველა იმ ადგილას, სადაც-კი შესაძლებელი იყო მისგან ქისის შენახვა, მაგრამ ქისა არსადა სჩანდა.

— დაიკარგა!—სთქვა ბოლოს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ავაზაკმა ამომაცალა ჯიბიდგან იმ დროს, ფანჯარასთან რომ მივედი.

— ეგ შეუძლებელია,—სთქვა ახალგაზდა ქალმა. მე სულ ერთავად მაგ კაცს ვუყურებდი. არც ხელი მოუშორებია გაზეთისათვის და არც თვალი.

— რას ლაპარაკობ! შენ არ იცი, რა მოხერხებულები არიან ჯიბგირები. ისე ამოგაცლიან ჯიბიდგან ფულსა, რომ თვალს ვერ მოჰკრავ. ჩემი ქისა მაგან მოიპარა. მე დარწმუნებული ვარ და სადგურზედ მივალ თუ არა, პოლიციელს გამოვუცხადებ.

აშკარაა, სადგურთან რომ მივიდოდით, მე ვაგონიდგან საჩქაროდ უნდა გადმოვხტარიყავ, რომ ამ დედაკაცს არ მოესწრო პოლიციელის დაძახება. მატარებელმა სიჩქარეს უკლო კიდეც. მოვკიდე ხელი ჩემს ქოლგასა და წამოსასხამს და ვაგონის კარებისაკენ გავეშურე.

— უკაცრავად, ვაჟბატონო, ვერ მოგართვეს გაპარვა—წამოიძახა ქალბატონმა სკობლისამ და კარებში ჩამიდგა.

რა უნდა მექმნა? პოლიციელს ეხლა ვერ ავსცდებოდი. ჩემს ბედს დავემორჩილე. დავჯექი ისევ ჩემს ალაგას და ვცლოდდი პოლიციელს, რომელსაც გაცხარებული ქალბატონი სკობლისა უკვე ეძახდა.

— ამ კაცმა ჯიბიდგან ფულის ქისა ამომაცალა,—მიაძახა ქალბატონმა სკობლისამ პოლიციელს, შემოვიდა თუ არა იგი ვაგონში. გაუჩხრიკეთ ჯიბეები და უეჭველად იპოვნით ჩემს ქისას. ზედ აწერია: „ა. დ. ს.“ შიგ ოთხი ბილეთი უნდა იყოს, თითო 50 მანათიანი, ორი სოვერენი, ცოტა წვრილი ფული და რკინის გზის ბილეთი.

— რას იტყვით ამაზე?—მკითხა პოლიციელმა სასტიკად.—ეტყობოდა, რომ ქალბატონ სკობლის სიტყვები სიმართლედ მიაჩნდა.

— იმას ვიტყვი,—რომ ეგ ტყუილია,—ვუპასუხე მე. სრულიადაც არ ვიცი, სად არის ეხლა ქისა ამ ქალბატონისა და შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ მე ცნობილი და სანდო კაცი ვარ და არა ჯიბგირი.

— ღმერთო ჩემო!—წამოიძახა ჩემმა ბრალმდებელმა. ეს რასა ნიშნავს? არც ყრუ ყოფილა და არც

*) იხ. „ივერია“ № 49.

რების მოლაპარაკებით გადაწყვეტილ იქმნა ჭიათურის რკინის გზის შტო სოფ. დარკვეთსა და საჩხერემდის იქმნას გაყვანილიო.

*** გაზ. „ტფ. ფურ.“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ სახელმწიფო საბჭოს გაზაფხულის სესსია განიხილავს პროექტს კავკასიაში სასკოლო გარდასახადის შემოღების შესახებ. ამ პროექტით კავკასიის ყველა ნავთის ქარხნებს ყოველ ერთ ფუთ ნავთზედ უნდა გარდაჰხდეთ $^{1}/_{10}$ კაპ. და ამგვარად მუდამ წელს საშუალო რიცხვით ნახევარ მილიონ მანეთამდის შემოსავალი იქმნებაო.

*** გაზ. „კავკასი“ სწერს, რომ უკანასკნელად მომხდარ ტირაჟში 10,000 მან. მოგება ქართველს, ალექსი უკუზაშვილს ერგოო.

*** დ. ხონი. რადგანაც 22 თებერვალს სხვა და სხვა მიზეზისა გამო ვერ მოხერხდა პანაშვიდის გარდახდა, ამიტომ 1 მარტს იქმნა გარდახდილი პანაშვიდი გმირის მეფის ერეკლე II ის სულის მოსახსენებლად. ამ დღეს საგანგებოდ თავი მოიყარა მახლობელ ეკკლესიათა სამღვდელოებამ და მონაწილეობა მიიღო პანაშვიდის გარდახდაში. წირვაზედ ბ-ნ ფ. ქორიძის ლოტბარობით ჰგალობდა ქართულ მგალობელთა დასი. პანაშვიდის დასასრულს ერთმა მოძღვართაგანმა დამსწრე ხალხს მეფე ერეკლეს მნიშვნელობა განუმარტა. თუმცა ცუდი ამინდი იყო ამ დღეს, მაგრამ წირვასა და პანაშვიდს ბოლომდ დაესწრო ხალხი.

*** ს. კართაშენი, (ნუხის მაზრა). განსვენებულის საქართველოს მეფის ერეკლე II-ს დაკრძალვის ასის წლის თავს, 22 თებერვალს, გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ღვთივ განსვენებულ მეფის სულის საოხად. მღვდელმა განუმარტა ხალხს ერეკლე II-ს ვინაობა. პანაშვიდის შემდეგ, აქაურის წესისამებრ, დამსწრე ხალხს თითო ჭიქა არაყი და წანდილი დაურიგდა.

*** ალიბეგლო, (საინგილო). 22 თებერვალს ალიბეგლოს ეკკლესიაში, კვირა დღეს, მოვიდა იმდენი ხალხი, რომ შიგ ვერ დაეტია და ბევრნი გარედ იდგნენ. ამისი მიზეზი იყო მეფე ერეკლე. ხალხს შეეტყო, რომ ქ. ტფილისს განსვენებულ მეფისათვის ამ დღეს პანაშვიდს გადიხდიანო და სთხოვა თავისს მოძღვარს მ. ჯანაშვილს იმასაც მოეხსენებინა სახელოვანი მეფე ერეკლე წირვაში და მერე პანაშვიდი გარდაეხადა. „ის ითვლებოდაო, უთხრა ხალხმა მღვდელს, კაკის ბატონად, იყო მფარველი ინგილოებისა, მან დაიცვა მე-XVIII საუკუნეში საინგილოს ქართველები ლეკებისა და ნუხის ხანის აჯიჩალაბის აოხრებისაგანო, და ამისათვის ჩვენ მოვალენი ვართ დღეს პანაშვიდი გარდავუხადოთ, მოვიგონოთ მისი დიდებული სახელი და ვაცხოვნოთ მისი უკვდავი სულიო“. მღვდელმა ჯანაშვილმა აღასრულა იმათი სურვილი და პანაშვიდის გარდახდის შემდეგ მშვენიერი ქადაგება უთხრა ხალხს ერეკლეს შესახებ.

*** თელავი. 12 თებერვალს კლუბის დარბაზში სცენის მოყვარეთ ქ-ნ ბარბარე ალექსანდრეს ასულის ვიტოვიჩის თაოსნობით წარმოადგინეს რუსულად: „Да или нѣтъ“ და „Разбитая чашка“, ხოლო ქართულად „მონადირე“ თელავის სამოქალაქო ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა, რადგანაც წარმოდგენამ საუკეთესოდ ჩაიარა. ეს წარმოდგენა ერთხელ კიდევ ჰმოწმობს, რომ თელაველ სცენის მოყვარეთ რუსთაცა და ქართველთაც შესწევთ ღონე და უნარი წარმოდგენების გამართვისა. წარმოდგენიდგან ხარჯს გარდა, რომელიც 30 მან. აღემატებოდა, დარჩა 105 მან. და გადაეცა ხსენებულ სასწავლებლის საქველ-მოქმედო საზოგადოებას.

*** სოფ ზეგანი, (იმერეთი). 27 თებერვალს აქ მობრძანდა ბლაღ.-მღვდელი მიხეილ მჭედლიძე და აკურთხა ახლად აშენებული ეკკლესია. ეკკლესიასთან არსებობს სამრევლო სასწავლებელი, რომელსაც მასწავლებელი პ. ვარდასანიძე მეტად გულ-მოდგინედ ეკიდება, მაგრამ, საუბედუროდ, მოსწავლეთა რიცხვი მეტად მცირეა. სწორედ საკვირველია აქაურ მცხოვრებელთა გულგრილობა, რომ არ უნდათ თავიანთ შვილებს წერა-კითხვა მაინც ასწავლონ. ამ ბოლო დროს აქეთკენ ღვინის მოსავალმა ძლიერ იკლო. მცხოვრებლებს მოჰყავთ აგრეთვე თაფლი და სასურველია, რომ უფრო მეტად გავრცელდეს მათ შორის მეფუტკრეობა.

*** სოფ. ქარელი, (გორის მაზრა) ხეირი არ დაგვაყარა ჩვენც თებერვალმა. დადგა თუ არა ეს თვე, მოვიდა თოვლი და თან მოიყოლა ცივი ქარი. ლამის სახლის სახურავები მოჰგლიჯოს, ისეთი დიდი ქარი ჰქრის მუდამ დღე. გვეგონა, გაზაფხულდაო, მაგრამ უდროოდ დამდგარმა მკაცრმა სიცივეებმა სოფელში სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა გაავრცელა. ბევრი ვაჟკაცი იმსხვერპლა ჭვალმა. რაღაც სენმა იჩინა კიდევ თავი, რომელსაც ხალხი ხუზარას უძახის (ციმბირის ჭირი). მეტად საშინელი ჭირია ეს სენი და საჭიროა, რომ ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, თორემ შეიძლება მთელს სოფელს მოედოს. ამას გარდა, რამდენიმე წელიწადია, რაც აქ ერთმა სომეხმა აიჩინა ბინა. დაიწყო მკითხაობა და გაჰყვლიფა გულ-უბრყვილო ხალხი. მოჰბეზრდა ეს ხელობა და ახლა წამლების მზადებასა და ექიმობას მიჰყო ხელი. ერთს მახლობელ სოფლის მცხოვრებელს 25 მანეთი გამოართვა, წამლობა დაუწყო და რაღაც წამლების ძლევით-კი წუთი-სოფელს გამოასალმა. ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ამ კაცის ასეთს თავგასულობას?:..

*** დ. სამტრედია. რკინის გზის სადგურის მახლობლად, დუქნებს უკან, მეტის მეტი სიბინძურე და უსუფთაობაა 10 საჟენის მანძილზედ. თუმცა ბოქაული ჯეროვანს ყურადღებას აქცევს, მაგრამ არ იქნა, არ მოეღო ბოლო ამ უსუფთაობას.

## ქალაქის საბჭო.

5 მარტი

თავმჯდომარე. დღეს უნდა განგვეგრძო განხილვა წინა კრებაზედ შეწყვეტილის მოხსენებისა ქუჩების საქმის განკარგების შესახებ, მაგრამ რადგანაც საკმაო რიცხვი ხმოსნებისა არ შეიკრიბა (ამ საგნისათვის საჭიროა არა ნაკლებ 40 ხმოსნისა), ამიტომ დღეს სიაში აღნიშნულ სხვა საგნების განხილვას უნდა შეუდგეთ.

საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ქალაქის გამგეობაში სასტატისტიკო ბიუროს დაარსების შესახებ. როგორც გამგეობის მოხსენებიდგანა სჩანს, ბიურომ უნდა შეჰკრიბოს ყოველგვარი სტატისტიკური ცნობა, როგორც მაგალითად, ცნობები დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რაოდენობისა, სხვა-და-სხვა სურსათის ფასებისა, იმისი, თუ რამდენი უბედური შემთხვევა ყოფილა, რამდენია გადამდების ავადმყოფობით ავად, რამდენი ხალხი მოსულა ტფილისში, გასულა აქედგან, რამდენს სახლს მოჰკიდებია ცეცხლი, ცნობები სწავლა-განათლებისა, ქალაქის ქონებათა და ფინანსთა შესახებ, ვაჭრობა-მრეწველობის და მრავალი სხვა. ასეთის ბიუროს დაარსება მართლა რომ სასარგებლო იქმნება ტფილისისათვის. ევროპაში ამ ჟამად „სტატისტიკურს ცნობებს ძალიან დიდს მნიშვნელობას აძლევენ და ყოველგვარ დასკვნას ამა თუ იმ საგნის შესახებ სასტატისტიკო ცნობებზედ ამყარებენ. გამგეობის გამოანგარიშებით სასტატისტიკო ბიუროს წელიწადში 7,000 მანეთამდე ხარჯი დასჭირდება, ხოლო თუ დაარსდა, ნახევარის წლისთვის 3,200 მანეთი მოუნდება. საფინანსო კომისიამ ეს ხარჯი 1,500 მანეთამდე შეამცირა.

ხმ. კარაპეტოვი. მე მინდა გავიგო, შემოსავალს მოგვცემს თუ არა სასტატისტიკო ბიურო.

გამ. წევ. არღუთინსკი-დოლგორუკი. არა.

ხმ. ქოჩორიანცი. სასტატისტიკო ბიურო ძალიან კარგი დაწესებულებაა, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ მომწიფებულვართ მაგისათვის. ამას გარდა, გამგეობაში ყოველგვარი ცნობებია, მხოლოდ გარჩევა და გასინჯვა უნდა.

ხმ. თაიროვი. ჩვენ ეხლა ფული სულ არა გვაქვს, დანაკლისი ძლივს დავფარეთ და მაგისთვის სად უნდა ვიშოვნოთ ფული.

ხმ. ხუდაძოვი. უბიუროდაც შეიძლება სასტატისტიკო ცნობების შეკრება. გარდაცვალებულთა და დაბადებულთა შესახებ ექიმებისა და მღვდლებისაგან, სურსათის ფასების შესახებ—სავაჭრო პოლიციისაგან და სხვა, მხოლოდ ცოტაოდენი შრომა უნდა.

ხმ. თამამშევი მ. ი. სასტატისტიკო ბიურო ბევრს სარგებლობას მოგვიტანს. ხშირად ზოგიერთის საგნის განხილვის დროს სხვა-და-სხვა ცნობები გვჭირდება; ამ ცნობებს ბიურო მოგვაწვდის. მაგ საქმეს სულ ცოტა ფული უნდა.

ამავე აზრისაა ხმ. ნ. ვ. არღ.—დოლგორუკი.

ხმ. იოანნესიანი. სასტატისტიკო ბიურო რომ საჭიროა, ამას ლაპარაკი არ უნდა; მაგრამ გამგეობის მოხსენებაში ბევრი რამ არის ჩამოთვლილი, რაც ბიუროს ვალდებულებას არ შეადგენს.

ხმ. ქოჩორიანცი. გამგეობის მეორე წევრი ჩვენ იმიტომ ავირჩიეთ, რომ სასტატისტიკო ცნობები შეჰკრიბოს ხოლმე, ამიტომ ეხლა ბიუროს დაარსება სულ მეტია.

ხმ. ნ. ვ. არღ. დოლგორუკი. ხმ. ხუდადოვი ამბობს, რომ სასტატისტიკო ცნობების შეკრება ადვილი საქმეაო. აგრე რომ იყოს, პეტერბურგში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში არ დააარსებდნენ ბიუროს. რაც შეეხება ფულს, ყოველთვის შეგვიძლიან სხვა ხარჯი შევამციროთ.

ხმ. შესტაკოვი. რასაკვირველია, გვექნება ფული, თუ უფრო საჭირო საგნებს მოვაკლებით, როგორც აქნამდის ვაკლებდით, მაგალითად, ქუჩების მორწყვას, ქალაქის დასუფთავებას და სხვა.

ბოლოს საბჭომ კენჭის ყრით 31 ხმის უმეტესობით 14 ხმის წინააღ-

---

მუნჯი! ბატონო პოლიციელო, ჩვენ მაგან თავი ყრუდა და მუნჯად გვიჩვენა. მარტო ეს ამტკიცებს, რა ავაზაკი უნდა იყოს.

— გთხოვთ, გამომყვეთ, – სთქვა პოლიციელმა, — და გირჩევთ, ყოველსავე ჩემს ბრძანებას დაჰმორჩილდეთ, თორემ უარესი დღე დაგადგებათ. თქვენც, ქალბატონო, გთხოვთ მობძანდეთ, ოქმი უნდა დაიწეროს.

წამოვდექი. პოლიციელს უნდა გავყოლოდი და ამ დროს რაღაცას ფეხი წამოვკარი, დავხედე და დაკარგული ქისა-კი დამხვდა.

— ეს ხომ არ გახლავთ თქვენი ქისა, ქალბატონო?—ვკითხე მე და ქისაც გავუწოდე. ფანჯარაში რომ იყურებოდით, მაშინ თუ დავარდა.

— ზღაპრებს მოჰყევით ეხლა? დამიყვირა პოლიციელმა. ის უფრო ჰკუას ახლოა, რომ თქვენ თითონ გადააგდეთ ქისა, როდესაც დარწმუნდით, რომ მახეში გაებით. ბევრს ნუ ჰლაპარაკობთ. გამომყევით.

— მოითმინეთ!—ჩაერია ეხლა-კი ახალგაზდა ქალი. მამიდავ, უეჭველია, თქვენ დაგვარდათ ეს ქისა. ეხლა კარგად მომაგონდა, ფანჯარასთან რომ მიხვედით, მარცხენა ხელში გეჭირათ, — ეგ კაცი-კი მარჯვენა მხარეს იჯდა. აბა, როგორ ამოგაცლიდათ?

— დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ეგრე იყო?—იკითხა პოლიციელმა.

— დიაღ, ეს კაცი აქ არაფერ შუაშია და არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. მამიდავ, სთქვით, რომ შესცდით! იფიქრეთ, რა ულმერთობაა ბრალი დასდოთ კაცს, როდესაც დარწმუნებულნი არა ხართ, რომ იგი დამნაშავეა!

ქალბატონმა სკობლისამ ქისა გახსნა და ფული სრულად დაუხვდა.

— მგონია, მართლა შევსცდი და ეს კაცი დამნაშავე არ არის. თუმცა-კი ვფიქრობ...

— კეთილი, ქალბატონო. მაშ ამ კაცს ბრალს აღარა სდებთ?—იკითხა პოლიციელმა.

— არა, არა, — წამოიძახა ახალგაზდა ქალმა. ბოდიშს ვითხოვთ, რომ ტყუილად შევაწუხეთ.

მერე მე მომიბრუნდა და დაუმატა:

— იმედი გვაქვს, რომ თქვენც შეგვინდობთ ამ შეცდომას.

ჩემის აზრით ეს „შეცდომა“ კი არა, მეტიც იყო. მაგრამ, რაკი უარესი არ დამემართა და გადავრჩი დაპატიმრებას ამ ლამაზის ქალის წყალობით, ისე გამეხარდა, რომ ვსთხოვე, გულითა,—ასეთს უბრალო რამეზე ნუ შესწუხდებით მეთქი.

— მერე რად გვითხრა, რომ ყრუ და მუნჯია? აი ეს მინდა შევიტყო!. არ იშლიდა თავისას უწყალო ქ-ნი სკობლისა.

— ასეა, თუ ისე, მაგ გვარ ხუმრობას მე არ ვურჩევ,—სთქვა პოლიციელმა. ნება მიბოძეთ, ბატონო მოგახსენოთ, რომ რაკი მოგზაურობის დროს ხალხს ატყუებთ — ყრუ და მუნჯი ვარო, არ შეიძლება ამ გვარი ხიფათი რომ არ შეგემთხვეთ. ამიტომ გთხოვთ, შემატყობინოთ თქვენი ვინაობა და აგრეთვე თქვენი ადრესიც.

ეს ბრძანება ავუსრულე პოლიციელს. ვაგონიდგან რომ გამოვედით და ამასთანავე ხუთი შილინგიც მივაჩეჩე და ვსთხოვე, რომ ჩემი ვინაობა არ ეთქვა ქ-ნ სკობლისათვის. მატარებელის თავში ავირჩიე ერთი ვაგონი მესამე კლასისა, დავჯექი იქა, დავიწყე მზადება უკანასკნელ განსაცდელისაგან გადასარჩენად—უნდა როგორმე ავსცენოდი გრინკროვტში ქ-ნ სკობლს. რომ შევხვედროდი, უეჭველად ან ძალით წამიყვანდა სახლში, ან კიდევ ყველაფერს მათქმევინებდა. სკობლი ძლიერ უსიამოვნო კაცია, უეჭველად დაწვრილებით უნდა გამოიკითხოს ხოლმე სულ უბრალო საქმე. რომ მეთქვა, ძლიერ საჭირო საქმე მაქვს მეთქი და ეხლავე ლონდონში უნდა დავბრუნდე, ამას არ იკმარებდა. ხოლო იმის შემდეგ, რაც მე გზაში შემემთხვა, სკობლის სახლში მისვლას სწორედ რომ ჯიბგირობისათვის ციხეში ჩაჯდომას ვარჩევდი. ჯერ ერთი ეს მიბძანეთ, რა სასიამოვნო იქმნებოდა ჩემთვის ქ-ის სკობლის დანახვა მას შემდეგ, რაც იმან სულელი, ბრიყვი და ჩერჩეტი კაცი დამარქვა. ხოლო მას შემდეგ, ქისა რომ დაკარგა და კინაღამ სატუსაღოში მიკრა თავი, როგორღა შევიძლებდი იმის სახლში მისვლას. სკობლს რომ არ შევხვედროდი, რილიყავ და შეუმჩნევლად დავბრუნებულიყავ ქალაქში, ჩემს საქმეს კიდევ არაფერი უჭირდა. მხოლოდ ის დამრჩებოდა სანანურად, რომ შესაფერი მადლობა და პატივის ცემა ვერ ვეცი იმ გულ-კეთილს ქალს; რომელიც მე გამომესარჩლა.

მატარებელი რომ გაჩერდა გრინკროფტში, სადგურის ბაქანზედ სკობლი დავინახე, მაგრამ იმან-კი თვალი ვერ მომკრა, რადგანაც საჩქაროდ ფანჯრის ფარდებს უკან ამოვეფარე. მერე უთვალთვალე, ავირჩიე დრო, როდესაც სკობლმა ზურგი შემომაქცია და იქვე საქონლის საწყობ საკუჭნაოში შევიჭერი. ჩემის ფიქრით, იქ უნდა დავმალულიყავ, ვიდრე სკობლი წავიდოდა, მაგრამ ანგარიშში მოვტყუვდი. საკუჭნაოს მცველმა იფიქრა, ეს კაცი აქ რად შემომეპარაო; ეჭვი აიღო, იქმნება ქურდი იყოსო და მთხოვა—მიბძანდი აქედგანაო. თავის დასახსნელად ქრთამი შევაძლიე და ეხლა ხომ დარწმუნდა, უეჭველად ქურდი უნდა იყოსო და ხელ-მეორედ მიბძანა—ან შენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგ უარ-ჰყო წინადადება სასტატისტიკო ბიუროს დაარსების შესახებ.

შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგეობისავე მოხსენება პოლიციელებისათვის ჯამაგირების მომატების შესახებ. ეს წინადადება ტფილისის გუბერნატორმა აღძრა და სთხოვა, ქალაქმა ჯამაგირი მოუმატოს იმ პოლიციელებს, რომელთაც შვიდს წელიწადზედ მეტი უმსახურნიათ. ამ საქმისთვის ქალაქს დასჭირდება 10,800 მანეთზედ ცოტა მეტის გაღება.

საბჭომ უარ ჰყო ეს წინადადებაც.

ბოლოს საბჭომ აირჩია საფინანსო კომისიის წევრად, ხმ. მ. ი. თამამშევის ნაცვლად, რომელმაც თავი დაანება, ხმ. შესტაკოვი.

## წერილი კახეთიდგან

ვინ მოსთვლის იმ გაჭირვებულს სევდა-მწუხარებას, „რაცა რგებია კახელ გლეხს მხვედრად“, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ამ შეჩვეულს, ერთხელვე მათს ძვალსა და რბილში გამჯდარს ჭირ-ბოროტებას იტანდნენ, ულლად ატარებდნენ. დღესაც ასეთს ყოფაშია კახელი გლეხ-კაცი, ასეთია იმისი ნარ-ეკლით მოფენილი გზა და ნებით თუ უნებლიედ ვერ ასცდენიან ამ გზას. დიაღ, ყველაფერს იტანდნენ კვლავ და იტანენ დღესაც უგრძნო და უვიც მოხელეთაგან შეჭირვებას, ჩაფარ-ურიადნიკთა მათრახით ცემა-ტყეპას, გაიძვერა ჩარჩ-ვაჭრებისაგან ტყავის გლეჯას, ცრუ და მატყუარა „აბლაკატებისაგან“ უკანასკნელ გროშის გამოცინცვლას, მაგრამ იმ ვაგლახმა-კი, რაც დღეს ჩვენ გლეხ-კაცობას დაატყდა თავს, იქამდის დაუკარგა ყოველის წარმატებისა და გამრჯელობის იმედი, რომ წარმოსათქმელადაც ძნელია.

აი მიზეზიც: ყველას მოეხსენება, რომ კახელი გლეხ-კაცობა უძველეს დროიდგანვე ვიდრე აქამომდე თავისუფლად სარგებლობდა ტყით და ამ ტყის შემწეობით იმართავდა როგორც თავშესაფარებელ სახლს, აგრეთვე საბძელ-გომს, იზღუდავდა ეზოყურეს, იძენდა მეურნეობისათვის საჭირო მასალას, უყენებდა თავის ერთად-ერთს წყაროს ცხოვრებისას — ვაზს ჭიგოს და ამ ღონისძიებითა და სახსრით ყოველ წლითი წლობამდე მიდიოდა იოლად როგორც საქონლიანი, ისე უსაქონლო კაცი.

მართალია, ყოველი სოფელი იხდიდა საზოგადო ტყის ბილეთის ფულს ტყის მმართველობის სასარგებლოდ, მაგრამ დღეს ესეც მოუსპეს და ყოველ სოფლის საზოგადოებას გამოუცხადეს ტყის მეთვალყურეებმა, რომ „კვლავინდებურად ვეღარ იწარმოებთ ტყეში და თუმცა ბილეთი ჩვეულებისამებრ მოგეცემათ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ რომელსამე ადგილს მოგეზომებათ რამდენიმე დღიური და ამ მოზომილს ტყეში იშოვნით თქვენთვის საჭირო მასალას თუ არა, ეს ჩვენი საქმე არ არის, როცა შეხვალთ ტყეში, პირ აღებით უნდა გაჰკაფგასწმინდოთ ტყე და ამასთანავე რა ხეც უნდა შეგხვდეთ, გაუთლელი უნდა გამოიტანოთ და არა ტყეშივე გასთალოთო“... თქვენს მტერს მოსწყდეს წელი, როგორც ამ ამბავმა კახელ გლეხ-კაცობას მოსწყვიტა წელი!

ან-კი სად არის ტყე, და თუ მივადგებით და ისეთს ღიჭნარს გავწმენდთ, სადაც გარეულ ღორსაც ვერ გაუტანებია, მაშინ გაზომილის ტყით რითი და როგორ უნდა ვისარგებლოთო.

ვინ აღარ იცის დღეს, რომ კახელი კაცის ერთად ერთი წყარო ცხოვრებისა მხოლოდ მევენახეობა არის და, თუ ეს ვიცით, მაშინ ისიც წარმოდგენილი უნდა გვქონდეს, რომ თუ ვენახს, გლეხია იგი, თუ თავადი, ჭიგო არ შეუდგა, ისე შემუშავება ყოვლად შეუძლებელია, და რა ჰქმნას ეხლა, ისეთაც აუარებელს საჭირ-ბოროტო საქმეში გაბმულ-გახლართულმა გლეხ-კაცმა, ვენახი შეიმუშავოს ჩვეულებრივის წესრიგით, თუ ბეგარასავით მიჰყვეს და პირ-აღებით ჰკაფოს-სწმინდოს მიზომილი ტყე, თუმცა-კი ბილეთის ფული ისევ უნდა გარდაიხადოს; თუ ტყის მოკაფვას შეუდგა, მაშინ ყოველი თავისი საქმე ხელ-უხლებელი უნდა დასტოვოს; თუ თავისს საქმეს დაუტრიალდება — უტყეოდ.

ამ საგნის გამო თითქმის მთელის სიღნაღის მაზრის სოფელთა საზოგადოებამ ხვეწნა-ვედრების არზები მიართვა ბ-ნს გუბერნატორს და სთხოვდნენ, გვიშუამდგომლეთ ტყის მმართველობის წინაშე, რათა ტყეში წინანდელი უფლება მოგვენიჭოსო, მაგრამ ვიდრე ჯეროვანს პასუხს მიიღებდნენ, დღეს მთელი გლეხკაცობა კახეთისა პირ დაღებული და ხელ გაუნძრეველი შესცქერის მომავალს ბედს. ჩვენის აზრით, არც უსაბუთოა იმათი ჭირ-ბოროტება: აი თებერვალიც გადის, მარტის გასვლამდის ვენახს კვირტიც გამოუვა და მაშინ რა ჰქმნას გლეხ-კაცობამ: შეჰსაროს, შეჰყელოს, თუ რა უყოს თავისს მასაზრდოებელს ვენახს.

ფრიად საჭიროა, რომ ვინმემ რაიმე და რითიმე დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს გლეხ-კაცობას, რათა ააცდინონ ასეთი არა-ჩვეულებრივი მოვლენა და ეს ერთად-ერთი მათი მანუგეშებელი დღე იმავე უფლებით მიანიჭონ, რა უფლებითაც უხმარნიათ წარსულს წლებში!

ნიკო ველისციხელი

## წერილი სიღნაღიდგან

27 თებერვალი.

დღეს მეხუთე დღეა, რაცა თოვს. ერთი არშინი და ერთი გოჯია დადებული თოვლი. შეიკრა ეზოები, მეზობელი მეზობელთან ველარ მიდი-მოდის. ბევრის სახლის სახურავი ჩამოინგრა, ნამეტნავად ძველი და ფიცრის სახურავიანი. დუქნების წინ საჩეხები სცვივა პანტა-პუნტით და ვერ უძლებს არშინზე მეტ დადებულ თოვლის ზვინს. შეიკრა ბაზარი, მოვაჭრე გულ-ხელ დაკრებილი გაიყურება დუქნიდგან, საშინელი უვაჭრობაა. ან-კი ვინ ივაჭრებს, ხალხი შინიდგან გარეთ ვერ გამოსულა და სოფლებიდგან ვინღა ამოვა. ერთად-ერთი ვაჭრობა აქვთ მეფურნეებსა და მეთონეებს. აქ ერთი ფურნეა და ერთიც თონე. აუარებელი ხალხი სდგას ფურნისა და თონის კარებზედ და ელიან ჯერს პურის ყიდვისას. ფქვილი ძალიან გაძვირდა. მეფქვილეების კოჭი ალჩუს დაჯდა, აღარ აპირობს ატრიალებას. შეშის სიძვირეს ნულარა მკითხავთ, ორად ორ ღერ შეშას, რომელიც ვირის გვერდებზეა გაკრული, აფასებენ 45, 60 და 70 კაპ. საშინლად გაძვირდა პირუტყვის საკვები, ბზე, თივა, ქერი და სხვა. ხალხი გაჭირვებულია.

ასეთივე არა სასიამოვნო ამბები მოდის ახლო-მახლო სოფლებიდგან. წელს აქეთ მცირე მოსავალი იყო პურისა, ერთ მესამედ მცხოვრებს შემოდგომაზედვე შემოაკლდა სურსათი და ეხლა რაღა იქნება. ნამეტნავათ კახეთის სოფლებს აკლიათ სარჩო. ამ გაჭირებას ზედ დაერთო საქონლის საკვების შემოკლებაც, რის გამოთაც გაუორკეცდა ხალხს გაჭირვება. ნამეტნავად ცხვრის პატრონები არიან გაჭირვებაში, რადგან ეს ამოდენა თოვლის ზვინები კეთილს არ დააყრის წვრილ-ფეხა ბატკნებს და დედა ცხვარსაც. ეხლა გაჩაღებული დოლია და არა სანატრელს დროს მოატანა ამ უწყალო სიცივე-ყინვამ. იმტვრევა ხე, ხეხილი თოვლისაგან. ძველი ხალხი იწერს პირჯვარს და განცვიფრებული ლუღლუღებს: ღმერთო, რას ვხედავთ ამას! ჯერ არ მოვსწრებივართ ამისთანა თოვლსაო. ამას წინად ჯერ ისევ კარგ ამინდსა და დარში ხორბალი კოდი ოთხ მანათამდის ავიდა და ეხლა რაღა იქნება? თქვენი მტერია, თუ არ გადაიღო და კიდევ მოემატა თოვლი, ხალხი მთლად დაიღუპება, ისეც საშინელს გაჭირვებაში იყვნენ და ახლა ეს უბედურებაც ზედ დაერთოთ. დიდი ზარალი და უბედურება დაატყდათ თავზე ამოდენა თოვლის დადნობის დროს დაბლა სოფლებს: საქობოს, მაშნაარს, ვაქირს, ანაგას და სხვა სოფლებსაც, რადგან იმათი ნახნავ-ნათესი, ნაშრომ-ნაჭირნახულევი სულ დაცემულ მინდორზეა, სადაც მცირე წვიმების დროსაც კი ივსება იქაურობა, დიდი ტბები, ჭაობები და ხრამები კეთდება და ანადგურებს იქაურობას. ახლა უფრო მთლად განადგურდება საწყლების შემოდგომის ნახნავ-ნათესი, რადგან ხსენებულ სოფლებს თავიანთ მინდვრების თავში არც ერთი თხრილი, არხი და რუ არა აქვთ გაყვანილი ნიაღვრების და ამისთანა დიდ თოვლიანობის ნადნობ წყლის ღვრების ასაცდენად. ამ თოვლისაგან ისე შესწუხდა ფრინველიც-კი, რომ ბეღურა ჩიტები, ყვავები და სხვანი აღარ ერიდებიან კაცს და თითქმის ძალდაძალ შინ სახლში უცვივიან.

დღეს, 27 თებერვალს, ნაშუადღევის შემდე აიშუქა და თოვაც გადაიღო. იქნება ღმერთმა შეგვიბრალოს და გამოიდაროს.

ქართველი

# რუსეთი

—

რეალურ სასწავლებლებში სწავლადამთავრებულთ რომ ადვილათ შეეძლოთ უმაღლესს სასწავლებლებში შესვლა, განზრახვა აქვთ გააფართოვონ რუსულ ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა და უცხო ენების სწავლების პროგრამმა ამ სასწავლებლებში.

— ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საელექტროსატეხნიკო საგნების გამოფენა იქმნას გამართული ქ. პეტერბურგში.

— მთავარ საზეითლო კომიტეტს განზრახვა აქვს დაჰგზავნოს პროვინციებში გლეხთა შორის დასარიგებლად პატარა წიგნაკები სათაურით „გლეხთა გამლატაკებელი“, რომელშიაც აწერილი იქმნება ციმბირის ჭირი და საშუალებანი ამ სენთან ბრძოლისა.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ახალი სასწავლებლები, რომლის მოსწავლეთაც უნდა შეისწავლონ სახლების აშენება, ღუმელების კეთება და სხვა...

— განზრახვა აქვთ ყოველგვარ ტყავისაგან დამზადებულ საგნების გამოფენა გაჰმართონ ქ. პეტერბურგში.

---

ნებით წადი ეხლავე, საიდგანაც მოსულხარო, ან არა და პოლიციელს დავუძახებო.

მაინც იმედს არ ვკარგავდი. საჭირო იყო მხოლოდ, რომ ამ საკუჭნაოდგან ისე მივსულიყავ ბუფეტამდე, რომ სკობლს არ დავენახე და იქ, რაღა თქმა უნდა, არავინ დამიწყებდა ძებნას. ბედმა გამიღიმა. ბაქანზედ რომ გამოვედი, სკობლი არსადა სჩანდა; უეჭველია, ცოლი და მისი ძმის წული გააცილა ეტლამდე. ავიწიე პალტოს საყელო, ჩამოვიფხატე ქუდი, გადავირბინე ბუფეტში და ხარბად დავუწყე ჭამა სანდვიჩებს. თან გულში მიხაროდა, ეხლა აქ ვერავინ მიცნობს მეთქი.

ასე თხუთმეტ წუთს ვიყავი აქა, და როგორც ეხლა დავრწმუნდი, სანდვიჩებმა საუკუნოდ კუჭი გამიფუჭეს, ასე რომ საჭმელი რიგიანად ველარ მომინელებია. მერე დავრწმუნდი, ეხლა-კი თავისუფალი ვარ-მეთქი, გამოვედი ბაქანზე და — პირდაპირ სკობლს-კი ჩავუვარდი ხელში, რომელსაც უფიქრია ჩემზედ, რა-კი პირველის მატარებლით არ მოვიდა, მეორე მატარებლით მოვაო.

— როგორ, შენ აქა ხარ კიდეც? — წამოიძახა სკობლმა. მერე სად იყავი აქამდე?

მე რაღაც წავიბუტბუტე — დეპეშა მივიღე და ლონდონში მეძახიან-მეთქი საჩქაროდ, და რა-კი შევატყე, რომ სკობლმა გაოცებით პირი გააღო, დავუმატე, ეხლავე უკან უნდა დავბრუნდე-მეთქი.

— საქმე ჩემს სიკვდილ-სიცოცხლეზეა, — დავუმატე მე. — გესმის? ეს არის დეპეშა გავგზავნე, რომ პირველისავე მატარებლით წამოვალ-მეთქი.

— მერე რაშია საქმე? ავადა გყავს ვინმე? აბა, დეპეშა მიჩვენე.

მე განგებ ჯიბეების სინჯვა დავიწყე და მერე გამოვუცხადე, რომ დეპეშა დამეკარგა.

— დეპეშა ბიძა ჩემისაგან მომივიდა, რომელიც უეცრად გარდაიცვალა, — დავუმატე მე.

— უეცრად გარდაიცვალა და მერე დეპეშა გამოგიგზავნა? — სთქვა გაოცებით სკობლმა. უეჭველად უნდა ვნახო ეგ დეპეშა... ჰო, მართლა! წავიდეთ კანტორაში და ვთხოვოთ, — მეორედ მოგვცენ იგივე დეპეშა.

ამ სიტყვებით სკობლმა ხელი მომკიდა, წამათრია კანტორაში და მოითხოვა, — შემატყობინეთ იმ დეპეშის შინაარსი, რომელიც ამ კაცმა ეხლახან მიიღოო.

— თქვენი გვარი, ბატონო? — იკითხა ტელეგრაფის მოხელემ.

— ჯონსტონ, — უპასუხა ჩემ მაგიერად სკობლმა.

— მაგ ადრესით დღეს დეპეშა არ მიგვიღია, — მიუგო მოხელემ.

— რას ლაპარაკობთ! გაცხარდა სკობლი. აი თვით ბატონი ჯონსტონი, რომელმაც ამ ხუთმეტის წუთის წინ დეპეშა მიიღო და იმ წამსვე პასუხიც გაგზავნა.

— ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავ მაგ კაცსა, — უპასუხა მოხელემ. მაგ კაცისათვის არც მიგვიცია დეპეშა და არც მაგისგან მიგვიღია.

— ჯონსტონ! — წამოიძახა სკობლმა. რას ნიშნავს ესა? ხომ არ გაგიჟდი?

— ლონდონიდგან ყველაფერს მოგწერ დაწვრილებით, — წავიბუტბუტე მე. ეხლა მეტს ვერაფერს გეტყვი. ძლიერ დიდი უბედურება მეწვია. ყურადღებას ნუ მომაქცევ, ეს ხშირად მომდის.

— თქვენი ჭირიმე! ეს რა მესმის? ხშირად მოსდის ხოლმე, რომ ბიძა უკვდება და მერე დეპეშას უგზავნის! გაიგეთ? — წამოიძახა სკობლმა და ხელები გაასავსავა, თითქოს მთელს ქვეყანას ეუბნებოდა: ხედავთ, რა საოცარს ამბავს მეუბნებაო! ჯონსტონ! შენ ავადა ხარ! წამოდი შინ. მკურნალს მოგიყვან.

სრულებით აღარ მახსოვს, რა ვუპასუხე ამაზედ, რადგანაც ამ დროს კიდევ ერთი უბედურება დამატყდა თავზე. ჩვენთან მოიჭრა ქ-ნ სკობლის ძმისწული და გაოცებული შემოგვყურებდა ხან მე და ხან სკობლს. მერე უეცრად მიხვდა ყველაფერს. წამოიძა — „ეს ბატონი ჯონსტონია“? და გულიანად გადიკასკასა.

რაც ქვეყანა არსებობს, ხალხს ჯერ არ გაუგონია ასეთი მხიარული კასკასი. ეშმაკური თვალები ისე უციმოდა ახალგაზდა ქალს, რომ თვით ჯონ კალვინსაც-კი სიცილს მოჰგვრიდა კოცონზედ მწვალებელის დაწვის დროს. მეც ველარ შევიმაგრე თავი და გადვიხარხარე, სკობლმა-კი პირი დააღო და შიშით შემოგვცქეროდა.

— ბიძა ჩემო, — დაიწყო ბოლოს ქალმა, — აქ ერთი საშინელი შეცდომა მოხდა, რომელიც მეტად საწყინო იქმნებოდა ჯონსტონისათვის, თითონაც რომ ოხუჯი და მხიარული კაცი არ იყოს. მამიდა შინ წავიდა. ჩვენც წავიდეთ ფეხით და გზაში ყველაფერს გიამბობთ.

ჯერ ცოტათი ვყოყმანობდი, მაგრამ მერე გადავწყვიტე, რომ უკეთესია ორმოც-და-ათი მამიდა წინ დამიხვდეს, ვიდრე ამ ლამაზს ქალს მოვშორდე და არ დავუმტკიცო, რომ არც სულელი ვარ, არც ბრიყვი და არც ჩერჩეტი. წასვლითაც წავედი კრინკროფტში და მთელს კვირასაც დავრჩი იქა. წამოსვლის დროს უკვე ცოლ-ქმრობის პირობა გვქონდა მიცემული მე და ახალგაზდა ქალს, ხოლო ქალბატონ სკობლისას „მამიდას“ ვეძახდი. ამით მსურდა დამემტკიცებინა, რომ ჯერ ერთი — კეთილი კაცი ვარ და გულში ჯავრის ჩაყოლა არ ვიცი, და მეორეც — მეგრძნობინებინა ქალბატონ სკობლისათვის, რომ სჩანს, უმორჩილესი მონა თქვენი არც ბრიყვი ყოფილა და არც სულელი.

ა. ნ.

# უცხოეთი

—

**კრიტი.** ცოტას ხნობით მიყუჩებულმა კრიტის საქმემ ხელ-ახლა აალაპარაკა ევროპის ჟურნალ-გაზეთები. გაზ. „Berl. Tagbl“-ის სიტყვით, ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი იქმნას დანიშნული. გაზეთი უმატებს, რომ სახელმწიფოთა ასეთს თანხმობას ხელი შეუწყო იმ ამბავმა, რომ ამას წინად ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა მეფის მოკვლა განიზრახესო.

**იტალია.** კავალოტის მოკვლის გამო, იმის თაყვანის მცემლებმა ზოგგან დემონსტრაციები მოახდინეს. ყველგან ხალხი იმასა ჰყვიროდა: „აღკრძალეთ დუელებიო“. განსაკუთრებით ხალხი აღელვებული იყო კავალოტის მკვლელის მაკოლას წინააღმდეგ. მაკოლა, რასაკვირველია, პირველ დღესვე გაჰქრა რომიდგან და ვენეციისაკენ გაემართა, მაგრამ აქაც დიდი განსაცდელი მოელოდდა, რომ დროზედ არ გაპარულიყო. გავრცელდა თუ არა ხმა, რომ მაკოლა ვენეციაში მოდისო, აუარებელი ბრბო რკინის გზის სადგურთან შეიკრიბა და მოუთმენლად მოელოდდა იმ მატარებელს, რომლითაც მაკოლა უნდა მოსულიყო. მაგრამ როდესაც მატარებელი მოვიდა, მაკოლა შიგ აღარ აღმოჩნდა, რადგანაც წინა სადგურზედ გადამხტარიყო. გაბრაზებული ბრბო ქალაქის თვით-მართველობის შენობას შემოერტყა და მოითხოვა სამგლოვიარო ბაირაღი აღმართეთო. გამგეობამ უარი შემოუთვალა. მაშინ ბრბომ მიფანტ-მოფანტა პოლიციელები და დარაჯები, შევარდა ოთახებში, ჩაამტვრია ფანჯრები და კარები და ძალად გამოჰკიდა სამგლოვიარო ბაირაღი. სხვა ქალაქებში თვით-მმართველობამ თვითონ გამოჰკიდა სამგლოვიარო ბაირაღები და წარმომადგენლებიც გაგზავნა განსვენებაზედ დასასწრებლად. კავალოტის სიკვდილმა ყველაზედ ძალიან მილანის მცხოვრებნი ააღელვა. ბრბო, რომელიც რამდენისამე ათასის კაცისაგან შესდგებოდა, უმთავრეს თეატრისაკენ გაემართა, თეატრის გამგეთ წარმოდგენა გადაადებინა და თეატრის შენობაზედ სამგლოვიარო ბაირაღები გამოაკიდებინა. ასევე აღკრძალეს წარმოდგენები მილანის სხვა თეატრებშიაც. დემონსტრაციები მოხდა აგრეთვე ფლორენციასა, ბოლონსა, გენუაში და სხვაგან, ხალხი უმთავრესად დუელების აღკრძალვას თხოულობდა. როგორც გაზეთები იუწყებიან, სოციალისტთა დასმა უკვე შეიტანა პარლამენტში წინადადება, რომ დუელები კანონით აღკრძალულ იქმნას. დასი თხოულობს, რომ ის, ვინც დუელში კაცს მოჰკლავს, ისევე დაისაჯოს, როგორც ჩვეულებრივი მკვლელიო.

## მცირე შენიშვნა

როგორც „ივერიის“ მკითხველებმა იციან, შარშან სამეგრელოში განვიზრახეთ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის დაარსება, რომლის სისრულეში მოსაყვანად ყოველივე ღონე ვიხმარეთ და ჯეროვნად განხორციელებული, (მკითხველებს გავახსენებთ, რომ 15 დღის განმავლობაში შეგროვდა 1,500 მანეთამდე საწევრო ფული) ჩავაბარეთ სამმართველოდ ერთს საზოგადო მოღვაწედ ცნობილს კაცს, რომელმაც დიდის სიამოვნებით მიიღო და ჩვენ კი, რადგან საზოგადოება მხნედ მოეკიდა საქმეს, წარმატების იმედი მოგვეცა. თუმცა ერთმა სანდო ინტელიგენტმა, გამგეთა არჩევის დროს, გაიგო თუ არა ჩვენი განზრახვა, გაგვაფრთხილა, მაგრამ ჩვენ, ამისდა მიუხედავად ჩვენი აზრი ვამჯობინეთ. ეხლა-კი, როგორც ვხედავთ, პატივცემულ ინტელიგენტის რჩევა-გაფრთხილება სრულდება, რადგან წელიწადი გადის და ამხანაგობის გამგეობას სძინავს. საკვირველია, ნუ თუ საზოგადო საქმის წინ მსვლელობა და თუ გინდ უბრალო წარმოებაც ამ გვარად შესაძლებელია?!. უმორჩილესად ვითხოვთ გაზეთის საშუალებით გვაცნობოს, რა მდგომარეობაშია დღეს ამხანაგობის საქმე.

ჩვენ ამით შეურაცხება-კი არ გვინდა მივაყენოთ ამხანაგობის გამგეობას, არამედ გვეშინია, საღათას ძილმა არ მოიცვას იგი და ხალხის ნდობა არ დაეკარგოს.—

წევრთაგანი

# ნარევი

—

ჩვენი ბავშვები. პაწია ბიჭი ეკითხება სტუმარს:

— დიდხანს იქნებით ჩვენსა?

— რა იყო?

— პური მომშივდა და მამამ-კი სთქვა, რომ სუფრას ნუ გაშლით, ვიდრე სტუმარი არ წავაო.

# ანგარიში

ახალციხის ქართულის სახალხო წიგნთსაცავისა და სამკითხველოსი 1897 წლისა.

(დასასრული *)

შემოსავალ-გასავლის ანგარიში:

შემოსავალი.

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1. პირველ იანვარს 1897 წლისა დარჩენილი იყო . . | 7 | 10 |
| 2. „წერა-კითხვის საზოგადოებისაგან“ წლის ხარჯი მივიღეთ | 80 | „ |
| 3. წლიურ ხელის-მომწერთაგან შემოვიდა . . . | 55 | „ |
| 4. ნახევარ წლიურ ხელის მომწერთაგან . . . | 20 | „ |
| 5. თვიურ ხელისმომწერთაგან | 11 | 60 |
| 6. დღიურ მკითხველთაგან . | „ | 5 |
| 7. შემოწირულება მივიღეთ. | 10 | 10 |
| 8. სხვა-და-სხვა შემოსავალი (ლატარიისაგან) . . . | 36 | 60 |
| 9. წიგნის გასყიდვით . | „ | 50 |
| 10. ლოტოში მოგებული ფული | „ | 50 |
| 11. ძველის გაზეთების გასყიდვით | 4 | 80 |
| 12. ხელის მოწერით მაგიდის საფენისათვის . . . | 9 | 9 |
| სულ | 235 | 44 |

ხარჯი.

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1. სახლის ქირა წლისა . | 35 | „ |
| 2. სამკითხველოს მეთვალყურეს ჯამაგირი წლისა . . | 108 | „ |
| 3. მასვე საჩუქრად . . | 10 | „ |
| 4. გათბობა-განათება დ სხვა წვრილმანი ხარჯი . . . | 36 | 2 |
| 5. წიგნების გაკეთება ყდაში | 26 | 35 |
| 6. ერთი თარო წიგნებისათვის | 1 | 60 |
| 7. ვიყიდეთ ხატი: „დიდება საქართველოს ეკკლესიისა“ .. | 1 | 20 |
| 8. ჩარჩოების გაკეთება სურათებისათვის . . . | 5 | 45 |
| 9. „კრებულის“ ფასი და წიგნების შეძენა . . . | 8 | 20 |
| სულ | 231 | 82 |

*) იხილე „ივერია“ № 49.

ასე რომ პირველ იანვარს 1898 წელს, სამკითხველოს ჰქონდა ნაღდი ფული 3 მ. 62 კ. როგორც ამ ანგარიშიდგან სჩანს, სამკითხველოს შესანახად „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობამ გამოჰგზავნა 80 მ., ხოლო დანარჩენი 155 მ. 44 კ. მოიპოვა სამკითხველოს სამზრუნველომ.

სამკითხველო ღიაა მთელი წელიწადი, გარდა ოთხი დღისა (შობა, ახალწელიწადი, წყალკურთხევა და აღდგომა). საქმის დღეებში ღია არის დილის 9 საათიდგან 2 საათამდის და საღამოს 5 საათიდგან 9 საათამდის; უქმეებში-კი 11 საათიდგან 2 საათამდის და 5 საათიდგან 9 საათამდის.

ამასთანავე სამკითხველოს სამზრუნველო თავისს სასიამოვნო მოვალეობადა ჰრაცხს გულწრფელი მადლობა გამოუცხადოს იმათ, რომელთაც გასულს წელს დახმარება აღმოუჩინეს სამკითხველოს თავიანთის შეწირულებით, სახელდობრ: ქ-ნს ე. გ. მუსხელიშვილს, ბ-ნთ მ. პ. მეფისაშვილს, ა. პ. მაისურაძეს, რ. ი. ალელიშვილს, ნიკო კოპაძეს, მ. სულხანიშვილს, ლ. გიორგობიანს, ო. გვარამაძეს, ფ. დურგლიშვილს, ტ. ზედგინიძეს და ილია ალხაზიშვილს, რომელმაც თავისი თხზულება გამოუგზავნა სამკითხველოს.

ხარჯთ-აღრიცხვა 1898 წ.

მოსალოდნელი შემოსავალი:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1. „წერა-კით. საზოგადოებისაგან“ | 71 | „ |
| 2. წლიურ წევრთაგან . | 72 | „ |
| 3. ნახევარ წლიურთაგან . | 22 | „ |
| 4. თვიურთაგან . . | 12 | „ |
| 5. შემოწირულება . . | 10 | „ |
| 6. შემთხვევითი შემოსავალი | 50 | 38 |
| 7. წარსულ წლიდგან დარჩომილი | 3 | 62 |
| სულ | 241 | 62 |

მოსალოდნელი ხარჯი:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1. სახლის ქირა . . | 35 | „ |
| 2. მეთვალყურეს ჯამაგირი . | 108 | „ |
| 3. ბიჭს ჯამაგირი . . | 24 | „ |
| 4. გათბობა-განათება და სხვა წვრილმანი ხარჯი . . | 36 | „ |
| 5. წიგნების შეძენა . . | 18 | „ |
| 6. წიგნების აკინძვა და ჩარჩოები | 20 | „ |
| სულ | 241 | „ |

გარდა ამისა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ გამოჰგზავნის თავისის ხარჯით: 1) „ივერია“-ს—10 მ., 2) „კვალს“—8 მ., 3) „ჯეჯილს“—5 მ., 4) „მოამბე“-ს—10 მ., 5) „ცნობის ფურცელს“—6 მან., 6) „ნოვოე ობოზრენიე“-ს —10 მ., 7) „კავკაზს“—13 მან., 8) „ნედელიას“—9 მან. და 9) „ბუდტე ზდოროვი“-ს 7 მან.,—სულ 78 მანეთისა.

სამზრუნველოს თავმჯდომარე კონსტანცია მეფისაშვილი. სამზრუნველოს წევრნი: ქ. გვარამაძე, მღვდელი ს. ჭუჭულაშვილი, კ. ფირალაშვილი, ევგ. ათაბეგიშვილი, პ. ყირხჭესლიშვილი; მდივანი და ხაზინადარი გ. ბურჭულაძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 მარტი

**კანეა.** კისსალის ქრისტიანებმა აცნობეს ადმირალებსა და საელჩოებს, რომ თუ კისსალაში საკვებ სურსათს არ გამოგვიგზავნით, სიმშილისაგან სიკვდილი მოგველისო. ავსტრიის ჯავშნიანი გემი კისსალაში წავიდა.

**ათინა.** პოლიცია თვალ-ყურს ადევნებდა იმ კლუბს, რომელიც სამეფო გვარეულობის წინააღმდეგია და დღემდის ამ კლუბის ოთხი წევრი დააპატიმრა: ერთი ვექილი, ერთი დურგალი თავისის შვილით და ერთიც სამსახურს გარეშე მყოფი კაპიტანი. არავინ იცის, აღმოჩნდა თუ არა რაიმე კავშირი ამ კლუბსა და კარდიტცის დანაშაულობის შორის.

**ნიუ-იორკი.** „Herald“-ი იუწყება, რომ მაკ-კინლეიმ სთქვა: „მე ის მირჩევნიან ჩემი პრეზიდენტობა დამთავრდეს სამარცხვინო მარცხით, ვიდრე ისა, რომ პასუხის მგებლობა ვიკისრო ომისა, რომელიც დანაშაული იქნება და არა-კანონიერი“.

**კელნი.** „კელნის გაზეთი“ იუწყება, ის ამბავი, რომ ჯავშნიანი გემი „ოლდენბურგი“ თავისის ჯარის-კაცებით კრიტიდგან წავიდაო, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ „გერმანია ნელ-ნელა თავს ანებებს საკონცერტო დარბაზს“. მას შემდეგ, რაც მოწყობილ იქმნა საბერძნეთის სახელმწიფო ვალის საქმე, გერმანია იმდენად დაინტერესებული არ არის, რომ ხელი შეუშალოს დიდთა სახელმწიფოთა მორიგებას, მით უმეტეს, რომ კუნძულზედ წეს-რიგის დამყარებას, დიდის ჯარის გარდა, ბლომა ფულიც დასჭირდება, რომლის გამეტებაც გერმანიის მხრივ მოსალოდნელი არ არის. გონიერებას უფრო ის შეეფერება, რომ იმ სახელმწიფოთ, რომელნიც ასეთს მსხვერპლს სწევენ, ნება მიეცეთ სისრულეში მოიყვანონ ის ღონისძიებანი, რომელთაც ისინი საუკეთესოდ სთვლიან. ამიერიდგან კრიტის საქმეთა მოწყობა დამოკიდებულია მხოლოდ რუსეთსა, საფრანგეთსა და ინგლისისაგან. გერმანიის შორს განდგომა სულაც არა ჰნიშნავს გერმანიის სახელმწიფოს ევროპის კონცერტიდგან გამოსვლას.

**ბერლინი.** საბიუჯეტო კომისიამ შეიწყნარა მეორედ წაკითხვის შემდეგ კანონი ფლოტის შესახებ.

**შანჰაი.** ამერიკელ მკურნალთაგან შემდგარ სწავლულთა კომისიის წევრებს ჩუნგინგამის მიდამოებში ადგილობრივი მცხოვრებელნი დაეცნენ, დაიჭირეს და სცემეს. ერთი იმათგანი გარდაიცვალა.

**ვაშინგტონი.** ისპანიამ გაუგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებს სამეგობრო წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს, რომ ისპანიის წინააღმდეგ ომს მთელი ქვეყანა უსამართლობადა და ცივილიზაციის წინააღმდეგ საქციელად ჩასთვლისო.

6 მარტი

**პეტერბურგი.** მავრობის განკარგულება. ბოლო დროს სეულიდგან ამბები მოდიოდა, რომ მთავრობასა და ხალხს შორის დიდი აღელვება ყოფილა. სახელმწიფო მოღვაწეთა შორის დაარსდა დასები, რომლებიც წინააღმდეგნი არიან უცხოელთა და პირ-ახდით აღიარებენ, რომ კორეა უკვე დაადგა თავისუფლების გზას და ამიტომ კორეას მთავრობას საჭიროდ აღარ მიაჩნია თავის საქმეში უცხო სახელმწიფოთა დახმარება. ამ გარემოებამ ხელი შეუშალა სეულში გაგზავნილთა მოქმედებას, რადგანაც ამას ითხოვდა თვით იმპერატორი ლილი. მისი მთავრობა რუსეთის ინსტრუქტორთა და საფინანსო სოვეტნიკი, რომელთაც ბევრი საწინააღმდეგო რამ საქმენი შეხვდათ. ამ გვარი ვითარება საქმისა ვერ შეესაბამებოდა რუსეთის განზრახვას. ამის მიხედვით, ჩვენს წარმომადგენელს მივანდევით, შეჰკითხებოდა თვით იმპერატორს და მისს მთავრობას, მიჩნიათ საკეთილოდ და საჭიროდ ჩვენი დახმარება, რომელიც შეგვიძლიან აღმოვუჩინოთ, ვითარცა სასახლეში, აგრეთვე ჯარისა და ფულის მხრივ. ამ კითხვაზედ რუსეთის რწმუნებულს, რომელიც სეულში იმყოფება, უპასუხეს, რომ კორეას მთავრობამ, განუცხადა რა დიადი მადლობა დროისით მიმართული დახმარებისათვის ჩვენს უავგუსტოესს იმპერატორი, დარწმუნდა, რომ ამ ჟამად კორეას არავითარი შველა აღარ ესაჭიროება, არც სამხედრო საქმისა და არც ფულის მხრივ და დიდი მადლობის ნიშნად კორეის იმპერატორი სთხოვს რუსეთის იმპერატორს ნება მომეცით ჩემი საგანგებო ელჩი გამოვგზავნო პეტერბურგში. ამისა გამო მთავრობამ დაავალა თავისს წარმომადგენელს სეულში განუცხადოს კორეის იმპერატორს და იმის მინისტრებს, რომ თუ ვინიცობაა, მათის აზრით, კორეას ამ ჟამად საჭიროდ არ მიაჩნია სხვის დახმარება და ძალ-უძს თავისის ღონით დაიფაროს თავისი მმართველობა, მაშინ ჩვენც აღარ დავაყოვნებთ და ჩვენს საფინანსო სოვეტნიკს უკან მოვიხმობთ. რაც შეეხება ჩვენს მხედართ, ისინი ჯერ-ჯერობით კორეაში დარჩებიან, ვიდრე საქმე გამოირკვეოდეს. რაკი რუსეთს ამიერიდგან არავითარი პასუხის გება აღარ ექმნება, ამიტომ შეუძლიან კი კორეას საქმეებში აღარ გაერიოს, იმ იმედით, რომ ამ სახელმწიფოს წყალობით გამაგრებული ნორჩი სახელმწიფო კარეა შესძლებს დაიფაროს თვისი ავტონომია. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი შესაფერ ღონის-ძიებას იხმარს, რომელიც მას ეკუთვნის, ვითარცა კორეას მეზობელს დიდს სახელმწიფოს.


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ 11 ამა მარტსა, ნაშუადღევის პირველ საათზედ, გამგეობის სადგომში იქმნება

**საჯარო ვაჭრობა**

ნაჭერის მიწის იჯარით გასაცემად. მიწა ზომით 263 ოთხ კუთხი საჟენია, შუშის საწყობად გამოსადეგი, მდებარეობს მე-10 ნაწილში, რკინის გზის მახლობლად. ეს მიწა იჯარით ამ ჟამად ჩემოდანოვსა აქვს.

(2—6.—1)

# ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)


Дозволено цензурою, Тифлисъ 6-го Марта 1898 г. სტამბა ძ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.